ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6988748

ნომერი: AR11028821

თარიღი : 10.04.2024

გაცემის თარიღი : 18.04.2024

გაცნობის თარიღი : 18.04.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეძათხევის N20 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი ვეძათხევის , N 20-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მზეონა ზუმბაძე პ/ნ 01024064988
- თბილისი ტაშკენტის ქ. N 23 ბ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6973724 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 10 აპრილს №AR11028821 განცხადებით მომართა მზეონა ზუმბაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 10

აპრილის №6973724 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 ივნისის №6501439 ბრძანებით, №01.16.06.039.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 14 ივლისის №6561483 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 14 ივლისიდან 2026 წლის 14 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6973724 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2023 წლის 14 ივლისის №6561483 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 10 აპრილიდან 2028 წლის 10 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6973724 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ „2024 წლის 10 აპრილიდან 2028 წლის 10 აპრილის ჩათვლით“ ნაცვლად არასწორად დაფიქსირდა „2024 წლის 10 აპრილიდან 2026 წლის 10 აპრილის ჩათვლით.“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2024 წლის 30 იანვრის №AR11012863 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 48 თვეზე. შესაბამისად, სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6973724 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2024 წლის 10 აპრილიდან 2028 წლის 10 აპრილის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში, ტექნიკური შეცდომის შედეგად, მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6973724 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6973724 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 10 აპრილიდან 2028 წლის 10 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6973724 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2023 წლის 14 ივლისის №6561483 და 2024 წლის 10 აპრილის №6973724 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.